



საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების,  
მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები

## **მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო**

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) წინამდებარე დოკუმენტი - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები“ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში – „პროგრამა“) დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს;
2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის და თუნინგის პროექტის მასალების გამოყენებით.

## **მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

- 1 უნივერსიტეტი ატარებს შრომის ბაზრის კვლევას მოთხოვნადი სპეციალობების განსაზღვრის მიზნით და განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამის“) საჭიროებას დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები და სხვა) კონსულტაციების საფუძველზე;
- 2 საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს შესაბამისი სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა მონაწილეობას ღებულობს დაინტერესებული მხარეები (დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.);
- 3 საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს სკოლის საბჭო და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამას განსახილველად გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

## **მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან**

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, პროგრამა უბრუნდება სკოლის საბჭოს მითითებული შენიშვნების გასათვალისწინებლად;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა აკადემიურ საბჭოს.

## **მუხლი 4. პროგრამის დამტკიცება**

1. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს დარგში არსებულ სიახლეებს, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული

მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სათანადო დონით და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი და სხვ;

2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

### **მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება**

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის შედეგების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, წინადადებების და პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული სხვადასხვა ინდიკატორის (პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა; გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა; პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი; პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობით გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი და სხვ.) ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს და შესაბამის სკოლას;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს განიხილავს სკოლის საბჭო და აძლევს მითითებებს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს პროგრამაში ცვლილებების გათვალისწინების თაობაზე;
3. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი უკუკავშირის გარდა შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივა საზოგადოების მოსალოდნელი განვითარების გათვალისწინების საფუძველზე;
4. მოდიფიცირებულ პროგრამას განიხილავს სკოლის საბჭო და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამას განსახილველად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;
6. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი სკოლა სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც მუშავდება სტუდენტის მონაწილეობით.

## მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია უნდა ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას ან/და სხვადასხვა რაოდენობრივი ინდიკატორის (პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა; გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა; პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობით გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვ.) შესწავლას ან/და მატერიალური რესურსის შეფასებას ან/და აკადემიური და სამეცნიერო რესურსის შეფასებას;
2. სკოლის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფით;
3. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ და შეიმუშაოს რეკომენდაციები მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ;
4. პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი სკოლა ვალდებულია მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და მიაწოდოს ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მობილობასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ;
5. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მოდიფიცირების ან გაუქმების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს;
6. პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურად განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში.